



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის



MES 3 21 0000013416



20/01/2021

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში გარე მობილობის წესით გადმომსვლელ პირთათვის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2020 წლის 24 დეკემბრის N1.1/141 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №122/ნ საქარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (18/01/2021წ; N10224) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასაწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში გარე მობილობის წესით გადმომსვლელ პირთათვის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს შემდეგი გრაფიკით:

- ა) 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში გარე მობილობის პროცესში მონაწილე პირთათვის განცხადებისა და პირადი საქმის ასლების წარდგენის ვადები განისაზღვროს 2021 წლის 8 თებერვლიდან 2021 წლის 12 თებერვლის ჩათვლით;
- ბ) გარე მობილობის პროცესში მონაწილე პირთათვის წერილობითი თანხმობის წარდგენის ვადები განისაზღვროს 2021 წლის 9 თებერვლიდან 2021 წლის 12 თებერვლის ჩათვლით;
- გ) უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ გარე მობილობის დასკვნების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენის ვადები განისაზღვროს 2021 წლის 9 თებერვლიდან 2021 წლის 16 თებერვლის ჩათვლით;
- დ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან სტუდენტთა გარე მობილობის შედეგები წარმოდგენილ იქნას 2021 წლის 18 თებერვლის ჩათვლით.

- 2. ბოლო ვაკანტურ ადგილზე, კონკურენციის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეტი ქულა აქვს მიღებული;
- 3. სტუდენტის პრიორიტეტულ პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში დაფინანსების მოპოვება განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 4. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
- 5. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
- 6. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
- 7. დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (თ.გიორგაძეს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
- 8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
- 9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ირმა შიოშვილი

